

ფინანსური პირამიდები უნდა დაინგრეს!

გაზეთი “საქონლო გაზეთი” – 14 სექტემბერი, № 35, 2009

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ფაქტობრივად, ეკონომისტებისათვის ნათელი გახდა, თუ რა იყო ამ კრიზისის მიზეზი, ამიტომ მისგან თავის დაღწევის გზები თეორიულად ნათელია, მთავარია ახალი მიმართულების ჩამოყალიბება.

ვესაუბრებით ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო, ახლახან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძისაგან შევიტყვეთ, რომ ეროვნულ ბანკს წართმეული ფუნქციები დაუბრუნდა, რა მოხდა?

– ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებები შეტანილი იქნა 2008 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტი იყო; მაშინ თპოზიცია პარლამენტის სხდომებს არ ესწრებოდა და სწორედ იმ დროს, გურგენიძემ მოახერხა და ისეთი ცვლილებები დაემტკიცებინა, რომლის მიხედვითაც ეროვნული ბანკი სტრუქტურულად დაშალა. კერძოდ, ის დარჩა როგორც ფულად საკრედიტო პოლიტიკის წარმართველი ორგანო, ხოლო ფინანსური ზედამხედველობის ფუნქცია, გადაეცა ახალ შექმნილ სააგენტოს, ანუ ეს ორი ფუნქცია გაიყო. ამან გამოიწვია ეროვნული ბანკის, როგორც ინსტიტუტის დასუსტება. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც ქვეყანაში შემცირდა უცხოური ვალუტის შემოდინება და ბანკებიდან დაიწყო ფულის გატანა, ამან შეუქმნა პრობლემა როგორც გაცვლითი კურსის სტაბილურობას, ასევე თვითონ ბანკების სტაბილურობას და იმის ნაცვლად, რომ ქვეყანას ჰქონდა ერთიანი ძლიერი ეროვნული ბანკი, მივიღეთ დანაწევრებული და დასუსტებული ბანკი. ამ ფონზე, სწორედ ამ შეცდომის გამოსწორებას ეხება ის ახალი კანონი, რომელსაც ახლა პარლამენტი იხილავს. მე მივესალმები იმ ფაქტს, რომ ხდება ეროვნული ბანკისათვის ჩამორთმეული ფუნქციის დაბრუნება!

– ან ჩამორთმევა რა იყო ან დაბრუნება, თავის დროზე ვერ მიხვდნენ ამ შეცდომას?

– მთავრობის წევრებისაგან განსხვავებით, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას დაცვის უფრო მეტი გარანტიები აქვთ პოლიტიკური კონიუქტიურისაგან. ბანკი პოლიტიკური ორგანო არ არის. მთავრობის წევრი ნებისმიერ დროს შეიძლება განთავისუფლებულ იქნა, ხოლო კანონის მიხედვით კი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები აირჩევიან 7 წლის ვადით, თუ ის რაიმე დალატში ან სხვა განსაკუთრებულ დანაშაულში არ იქნა მხილებული. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელები – პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტები, სწორედ ამ საბჭოდან აირჩევიან. რადგანაც ეროვნული ბანკი როგორც პროფესიული ორგანო არ არის პოლიტიკურ ცვლილებაზე დამოკიდებული, მთავრობას ყოველთვის აქვს სურვილი როგორმე დაასუსტოს ის და პქონდეს მასზე ზეგავლენა.

სწორედ ამ მიზანს ისახავდა ყოველთვის მასთან მიმართებაში ხელისუფლების ზეწოლა ჯერ კიდევ ადრე, ჯავახიშვილის პერიოდში, შემდეგ მანაგაძეზე, შემდეგ გოცირიძეზე. ანუ იცვლებოდნენ მთავრობები, ხელმძღვანელები, პოლიტიკური პარტიები, მაგრამ არ იცვლებოდა ეს ზეწოლა. გოცირიძე, მიუხედავად იმისა რომ ნაციონალური პარტიის აქტივისტი იყო, აიძულეს განცხადება დაეწერა და წასულიყო. რატომ? იმიტომ რომ მთავრობას ყოველთვის აქვს ცდუნება განახორციელოს პოლიტიკური კონტროლი ამ ორგანოზე. რომან გოცირიძე გადადგა 2007 წლის სექტემბრის ბოლოს, და ამის შემდეგ, როდესაც ეროვნულ ბანკს ხელმძღვანელი არ ჰყავდა, მაშინ მოახერხა ლადო გურგენიძემ მისი დანაწევრება და დაკინება.

ამჟამად კი მისმა ახალმა პრეზიდენტმა ეროვნულ ბანკს დაკარგული ფუნქცია დაუბრუნა, რაც ძალიან კარგია – ბანკი უნდა აღდგეს თავის ინსტიტუციურ ფორმატში.

კარგი იქნებოდა თუ მთავრობა აღიარებდა თავის შეცდომას და პასუხს მოსთხოვდა გურგენიძე-ბენდუქიძის ტანდემს – რომელთაც თავის დროზე ჩაიდინეს ეს დანაშაული! ეს საკითხი არ დაყენებულია ალბათ იმიტომ, რომ დღეს არც ერთია და არც მეორე ფორმალურად მთავრობაში, მაგრამ რომელიმე დეპუტატი მაინც თუ აღნიშნავდა და გაიხსენებდა ამ დანაშაულს – კარგი იქნებოდა! აქვე უნდა ითქვას, რომ როცა ეს ახალი პროექტი შევიდა პარლამენტში, დაშვებულ იქნა კიდევ ერთი სერიოზული შეცდომა, ანუ ფინანსური ზედამხედველობის სამსახური შედიოდა ეროვნული ბანკის შემადგენლობაში თავის საბჭოიანად, ანუ თუ ის შიგა სტრუქტურული ერთეული იქნებოდა,

აღარ იყო ეს საბჭო საჭირო, ვინაიდან ეროვნულ ბანკს ისედაც აქვს საბჭო. ამიტომ ეს პროექტი შევიდა მცდარი სახით, რომელიც მერე გამოასწორეს, ამ- უამად მას სწორი ფორმით ეყარა კენჭი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქვეყანას აქვს მისალოცად საქმე, რომ აღ- დგა ეროვნული ბანკი თავისი ფუნქციებით, ეს მისი ახალი ხელმძღვანელის გამარჯვებაა.

— ეს საქმე ასე კარგად რომ დამთავრდა მისასალმებელია, მაგრამ რას მისცემს ის ხალხს, რითი შეუწყობს ხელს?

— ეროვნული ბანკი უნდა იყოს გარანტორი იმისა, რომ გაცვლითი კურსი იყოს სტაბილური, ასევე მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ინფლა- ციის დონე არ იყოს მაღალი — ესეც მისი ფუნქციაა. მესამე, ხალხისათვის მთავარია ბანკებს ენდონ, ფული შეიტანონ, ფულის გადარიცხვა აწარმოონ.

— როგორ ფიქრობთ, თუ ეხლა საქმე გამოსწორდა, მაღაზიებს დაუბრუნ- დებათ კრედიტების გაცემის უფლება? შეძლებს მოსახლეობა კრედიტით ტექ- ნიკის ან რაიმე ნივთის გამოტანას?

— ის, რაც აქამდე ხდებოდა, იყო ძალიან დიდი შეცდომა. ეს არ უნდა დაბრუნდეს. ამან გამოწვია სწორედ კრიზისი. საკრედიტო რესურსს ბანკები იღებდნენ არა ჩვენი მოსახლეობის დანაზოგებიდან, არამედ ევროპის ფინან- სურ ბაზრებიდან, ანუ ჩვენი ბანკები სესხულობდნენ ფულს ევროპულ ბაზარ- ზე, შემდეგ კრედიტებს გასცემდნენ ქვეყნის შიგნით. ის რომ მაღაზიები კრე- დიტში ყიდნენ ტექნიკას, მათ შორის ტელევიზორებს, გაზქურებს, კომპიუტერს და ასე შემდეგ, მითხარით, რომელი ერთი იწარმოება საქართველოში? ესე იგი რა გამოვიდა, ვაკრედიტებდით უცხოურ საქონელს, ამით ქვეყნის ეკონომიკა ხომ არ ვითარდებოდა, ვინც კრედიტს იღებდა მას არ ჰქონდა სტაბილური შე- მოსავალი.

დღეს ბანკებმა ჭარბა ისწავლეს და კრედიტით საქონელს აღარ გასცემენ, ასევე საბანკო პროცენტი არის მაღალი, სხვა შემთხვევაში ისინი გაკოტრდე- ბიან.

ახლა მთავარია — მოხდეს საკრედიტო რესურსის წარმართვა ეროვნული ეკონომიკისათვის! მთავრობა არ უნდა აძლევდეს იაფ კრედიტებს არავის, ეს არის უდიდესი შეცდომა! მთავრობა უნდა გამოდიოდეს ფინანსური გარანტო- რის როლში. კრედიტს უნდა აძლევდეს ბანკი, ხოლო თავდებად მთავრობა შეიძლება გამოვიდეს. მაგალითად, თუ რომელიმე მეწარმეს აქვს საინტერესო პროექტი, მაგრამ არ აქვს ფინანსური გარანტიები, შეიძლება ამ შემთხვევაში

მთავრობა მას დაეხმაროს და იყოს მისი გარანტორი, თუ მოეწონება მეწარმის პროექტი.

მეორე მექანიზმია ის, რომ მთავრობამ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საბანკო პროცენტის თანადაფინანსებაში. ბანკს აქვს მაღალი პროცენტი, იმიტომ რომ ეკონომიკაში სიტუაცია კრიზისულია, ამიტომ ასეთი პროცენტით მეწარმე საქმეს ვერ დაიწყებს, ასე რომ მეწარმეს სჭირდება დახმარება. ამიტომ იდება სამმაგი ხელშეკრულება, ბანკს, მთავრობასა და მეწარმეს შორის, როცა ბანკი მაგალითად სესხს აძლევს მეწარმეს წლიური 20 პროცენტით, ხოლო ამ ოცი პროცენტის დაბრუნებიდან სახელმწიფო იდებს ვალდებულებას, რომ დაგუშვათ 8 პროცენტს აბრუნებს მეწარმე, ხოლო 12 პროცენტს მთავრობა, ამით ის ხელს უწყობს წარმოების განვითარებას, მაგრამ ფულს არ აძლევს მეწარმეს. ეს სწორი ფორმაა.

ფულისა და სესხის გამცემი ორგანო მთავრობა არ არის, ის პოლიტიკური ორგანოა. მთავრობა უნდა იყოს შეამავალი ბანკებსა და მეწარმეებს შორის. ასე არც ბანკები დაზარალდებიან და არც მეწარმენი. ეს არის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმი, მაგრამ უფრო შრომატევადი, ვიდრე ის, რომ ბიუჯეტიდან ფული ამოიღონ და ვინმეს სესხად მისცენ. ასეთ დროს ყველა სუბიექტს აქვს ვალდებულება აღებული.

საკრედიტო ოპერაციები არის სპეციფიკური ოპერაციებია, არ შეიძლება კრედიტორი იყოს პოლიტიკური ორგანო. მათ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყონ მეწარმეებს.

– ქალაქის მერიამ ამჟამად შემოგვთავაზა, რაღაც ამის მსგავსი პროექტი ძველი უბნებიდან მოსახლეობის ახალ ბინებში გადაყვანის შესახებ, იცნობთ ამ პროექტს ან მოგწონთ იგი?

– ჩემი დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ არაერთმნიშვნელოვანია, თვითონ იდეა კარგია, მაგრამ ამ პროექტს აქვს მეორე მხარე. ის თეორიულად სწორი მოდელია, მაგრამ აქვს სუსტი მხარეც.

მთავრობამ უნდა აიღოს თავის თავზე ის მორალური ვალდებულება, რაც გააკეთა თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლის დანგრევით, და მოსახლეობის იქიდან გაყვანით. ის სახლი რა ინგრეოდა? სანამ იმ სახლს დააგრევდნენ, იმ მოქალაქეებისათვის უნდა მიეცათ სადმე სახლი, ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, დღესაც ისინი გამოკიდებულნი არიან ჰაერში, მათ დღესაც ბევრი პრობლემები აქვთ. ამიტომ სანამ მთავრობა რაიმე ახალ პროექტს განახორციე-

ლებს, მისი მორალური ვალდებულებაა ამ სახლის მაცხოვრებლების პრობლემის გადაწყვეტა.

მეორე, ამ ახალი პროექტის ეკონომიკური მხარე გამართული არ არის, იმიტომ რომ ვიცით, რომ ჩვენი სამშენებლო ბიზნესი არ არის სრულად წარმატებული. ამ ბიზნესში ჩამოყალიბდა ძალიან ბევრი „ფინანსური პირამიდა“, ეს ნიშნავს იმას, როცა სამშენებლო კომპანიას ძველი ვალდებულების შესრულება არ შეუძლია და იღებს ახალს, მერე ამ ახლის ფულით აშენებს ძველს. ამ მეთოდით ასეთი კომპანია ერთ მშვენიერ დღეს “დაინგრევა”, “აფეთქდება”. დღეს საქართველოში არის ძალიან ბევრი ასეთი „ფინანსური პირამიდა“, ამიტომ სანამ მთავრობა ამ ძველი თბილისის განახლების პროექტს დაიწყებს, მანამდე უნდა ჩატარდეს სამშენებლო კომპანიების გაკოტრების პროცედურა, და „ფინანსური პირამიდების“ პრინციპით მომუშვენი უნდა გაკოტრდეს, ამის შემდეგ ამ ახალ პროექტში მონაწილეობას მიიღებდნენ მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც წარმატებულნი არიან. ეს მთავრობას არ ჩაუტარებია. ანუ პრაქტიკულად „ფინანსურმა პირამიდებმაც“ შეიძლება მიიღონ მონაწილეობა ამ ახალ პროექტში და გააგრძელონ ის სიმახინჯე, რაც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ამ სფეროში. ქვეყნის ეკონომიკისთვის ეს არ არის სწორი გადაწყვეტილება. იდეა სწორია, მაგრამ უნდა მოხდეს სამშენებლო სექტორში ე.წ. „წმენდა“.

— დღეს შსოფლიო ეკონომიკური კრიზისი რა ფაზაში შევიდა, არის რაიმე დადებითი ამ მხრივ?

— ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული, ზოგი თვლის, რომ კრიზისი თავის პიკზე ჯერ არ დასულა, ზოგი კი პირიქით, თვლის რომ პიკის უკვე გადალახულია. ერთიანი აზრის ჩამოყალიბება ჯერ შეუძლებელია. ზოგიერთ ქვეყანაში ვარდნის შეჩერება მიღწეულია, ზოგან არა. ამავდროულად ყველა ქვეყნის მთავრობა ერთნაირად ქმედითუნარიანი არ აღმოჩნდა კრიზისის დასაძლევად, გლობალიზაციის პირობებში, შეიძლება რომელიმე ქვეყანამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ამ მხრივ, მაგრამ ის არ ჩანს სხვა წარუმატებელი ქვეყნის ფონზე.

დღეს რაიმე პროგნოზის გაცემება ძნელია. კერძოდ, საქართველოში კრიზისს აქვს გლობალური ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენაც და თავისი ეროვნული ფესვებიც.

სამწუხაროდ, სამშენებლო ბიზნესში „ფინანსური პირამიდის“ დაძლევის მექანიზმი პროგრამა, ჯერ არ ჩანს!

თუმცა, გაზეთის მკითხველი მინდა დავამშვიდო, რომ ქვეყანაში რაიმე ეკონომიკური კატასტროფული ვითარება მოსალოდნელი არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც რუსეთისაგან დაზარალებული ქვეყანა ვიდებთ ბრიუსელის კონფერენციით გადაწყვეტილი დახმარებას გასული წლიდან. აქედან გამომდინარე, მძიმე სურათს არ უნდა ველოდოთ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა.

— დაბოლოს, ბატონო ლადო, თქვენ თვლით რომ ჩვენს ქვეყანაში შემდგომაზე კიდევ იქნება კრედიტების გაცემა, ისე მასობრივად როგორც იყო, ან რატომ არ უნდა იყოს, მთელი ამერიკის მოსახლეობა ხომ ამ წესით ცხოვრობს, ისინი მთელი ცხოვრება იხდიან სახლის კრედიტს, მანქანის ტექნიკის და ა.შ...

— საქმეც მაგაშია, რომ ამ წესმა არ გაამართლა და იმიტომაც მივიღეთ გლობალური ეკონომიკური კრიზისი. არ შეიძლება მარტო კრედიტზე იყო დამოკიდებული. წარმოიდგინეთ, ადამიანი იხმარს იმ საქონელს, რომლის გადახდის უნარი დღეს მას არ აქვს. ეს გახდა პრობლემა მსოფლიოში, ის ქმნის დისბალანსს ფინანსები რესურსსა და წარმოებას შორის. ამ მეთოდმა არ გაამართლა...

ეთერ კასრელიშვილი